

საქართველოს კანონი
„საქართველოს თავდაცვის შესახებ“ საქართველოს
კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „საქართველოს თავდაცვის შესახებ“ საქართველოს კანონში (პარლამენტის უწყებანი, №45, 21.11.1997, გვ. 86) შეტანილ იქნეს ცვლილება და მე-8 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

- „2. საქართველოს შეიარაღებული ძალები შედგება:
- ა) საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბისაგან;
 - ბ) სახმელეთო ჯარებისაგან;
 - გ) სახმელეთო ჯარების სამხედრო-საჰაერო ძალებისაგან;
 - დ) საქართველოს თავდაცვის სამინისტროს, მათ შორის საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირების სამხედრო მოსამსახურეებისაგან.“

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი